ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ინტეგრირებული მართვის პრობლემები საქართველოში

ვაჟა ზეიკიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ი.ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
რუსუდან ფირცხალავა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ი.ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მდგრად გამოყენებას და ეფექტურ მართვას, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. სამწუხაროდ გლობალური დათბობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ეფექტურ გამოყენებას. კერძოდ სახეზე გვაქვს საძოვრების ნიადაგის წვიმის და ქარისმიერი ეროზია, პირუტყვის ინტესიური და უსისტემო ძოვების შედეგად ბალახნარის საფარის დაზიანება, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ამ უნიკალური ეკოსისტემის ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას. წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ის აქტუალური საკითხები, რომელთა გადაჭრა სამომავლოდ ხელს შეუწყობს ამ უნიკალური ეკოსისტემების მდგრად განვითარებას.

ბუნებრივი სათიბ-საძოვრების საკითხების კვლევას მრავალმა უცხოელმა და ქართველმა მეცნირმა მიუძღვნა საკუთარი ნაშრომები. ამ კუთხით აღსანიშნავი პროფ. ი.სარჯველაძის ნაშრომი, „ბუნებრივი სათიბ-საძოვრების გაუმჯობესება“, რომელშიც დიდი ყურადრება აქვს დათმობილი ბუნებრივ სათიბ- საძოვრებზე სასუქების შეტანის და საძოვრების მავნე და შხამიანი ბალახებისან გაწმენდის საკითხებს. ი. ეთოლდის და რ. ნეუდერთის მეთოდოლოგიური სახემძღვანელო „მონიტორინგის სახემძღვანელო კავკასიონზე არსებული მთის საძოვრებისათვის“, რომელშიც განხილულია მეთოდური მიდგომები საძოვრების დეგრადაციის დადგენის, ხარისხის შეფასების და მათი ბიომრავალფერობნების კონსერვაციის ხელშეწყობისათვის გასატარებელი ღონისძიებების.

სტატიაში გამოყენებულ იქნა ბუნებრივ-სათიბ საძოვრების მდგრად გამოყენებაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები და ინდიკატორები. მეთოდოლოგიურ ჩარჩოში გათვალისწინებული იქნა ამ საკითხების გადაჭრის ზეგავლენა ქვეყნის რეგიონების ეკონომიკის განვითარებაზე. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების გზების დასახვა.

ბუნებრივ სათიბ-საძოვრებს საქართველში უჭირავს 1911,2 ათასი ჰა, აქედან სათიბები წარმოდგენილია 143 ათას ჰა-ზე, ხოლო საძოვრები 1768,2 ათას ჰა-ზე. ქვეყნის ეს ბუნებრივი სავარგულები განლაგებულია დაბლობ, მთის ქვედა, მთის შუა, სუბალპურ და ალპურ ზონებში[1.გვ.3]. საქართველოში რეგიონების მიხედვით ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ყველაზე დიდი ფართობები წარმოდგენილია კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში. კახეთის რეგიონში წარმოდგენილია პირუტყვის, როგორც ზამთრის ასევე საზაფხულო საძოვრები. სამეგრელო-ზემო სვანეთის სათიბ-საძოვრები განლაგებულია ზღვის დონიდან ალპურ სარტყლამდე. პირუტყვის ზამთრის საძოვრები წარმოდგენილია კოლხეთის დაბლობზე, ხოლო საზაფრხულო საძოვრები დიდი კავკასიონის სუბალპურ და ალპურ მდელოებზე. აჭარის რეგიონში სათიბ-საძოვრებს უკავია მთელი ტერიტორიის 15% და ძირითადად სუბალპურ და ალპურ სარტყელებშია განლაგებული. ამ უნიკალური ბუნებრივი სავარგულების არასწორი გამოყენების შედეგად, მისი ფართობი თანდათან მცირდება, იფარება ბუჩქნარით, ჭაობდება და

სახეზე გვაქვს სხვა უარყოფითი პროცესები. ამას თან ერთვის ფერმერების მხრიდან პირუტვის უსისტემო ძოვება და საძოვრებზე პირუტყვის დასაშვები რაოდენობის დადგენილი ნორმების უგულვებელყოფა, რაც ამ უნიკალური ეკოსისტემის დეგრადაციის მიზეზი ხდება.

ქვეყნის ამ უნიკალურ ეკოსისტემის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას სერიოზულ საფრთხეს უქმნის კლიმატის ცვლილებაც და მიმდინარე გლობალური დათბობის პროცესიც. კლიმატის ცვლილების შედეგად გახშირებულმა უხვმა ნალექებმა რომელიც ხშირად თქეშის სახით მოდის, უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა მთიან ფერდობებზე განლაგებულ საძოვრებზე, სადაც წყალი სწრაფად ჩამოედინება მთების ფერდობებიდან და რეცხავს ბალახნარის კორდსა და ნიადაგის საფარს. სახეზეა სათიბ-საძოვრებზე ბალახნარის საფარის გაგაქრობა და მთიანი ფერდობების მასივების გაშიშვლება, რომელზეც შემდგომ აქტიურად ვითარდება ნიადაგის ეროზიული პროცესები.

ბუნებრივი სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლების და ბიომრავალფერო-ვნების კონსერვაციის მიზნით მნიშვნელოვანია ზედაპირული ღონისძიებების გატარება, რომელიც თავის მხრივ არ არის დაკავშირებული დიდ დანახარჯებთან და ფერმერებს, სასოფლო თემის წევრებს მისი განხორციელება შესწევთ საკუთარი ძალებით. სათიბ-საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესება მოიცავს: კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარებას, წყლისა და ჰაერის რეჟიმის გაუმჯობესებას, სარეველა, მავნე და შხამიანი ბალახების მოსპობას, სასუქების შეტანას და ნაირბალახების შეთესვას.

ბუნებრივი სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლების საუკეთესო საშუალებაა ორგანული სასუქებით განოყიერება. ამ მიზნით საძოვრული სეზონის მანძილზე პირუტყვის სადგომების შეცვლით შესაძლებელია გავაუმჯობესოთ საძოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, ერთი ცხვარი დღე-ღამის განმავლობაში გამოყოფს 2,2 კგ მყარ და 0,7 ლ. თხევად ექსკრემენტებს. საძოვრებზე ცხვრის ფარის დროებითი გადასატანი სადგომების მონაცვლეობით დანახარჯების გარეშე შესაძლებელია გავაუმჯობესოთ ბუნებრივი საძოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. გაანგარიშებით დადგენილია, რომ 500 სულიან ცხვრის ფარას 120 დღიან საძოვრულ პერიოდში წელიწადში შეუძლია 5-6 ჰა საძოვარი გაანოყიეროს. ბუნებრივ საძოვრებზე დროებითი გადასატანი სადგომების მოწყობა სირთულეს არ წარმოადგენს და სასურველია მას მიეცეს ოთხკუთხედის ან წრის ფორმა, სადგომის ფართობი განისაზღვრება დასაყენებელი ფარის ან ნახირის სულადობით. მაგალითად, თუ გვინდა რომ 1მ^2 მოდიოდეს 2 ცხვარი, მაშინ 1000 სულიანი ფარისათვის საჭიროა 500მ^2 დროებითი გადასატანი სადგომი[6.გვ.14].

ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვისათვის მეტად მნიშვნელოვანია საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის დახვეწა, ჩვენს მიერ საქართველოს საკანონმდებლო ბაზის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც დაბრკოლებებს ქმნიან ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მდგრადი მართვის განხორციელების საქმეში, რომელთაგან აღსანიშნავია:

- ერთიანი ნორმატიული აქტის არარსებობა, რომელიც დაარეგულირებდა საძოვრების მდგრად მართვას;
- საძოვრების მართვის რეგულაციების გაბნევა მრავალ საკანონმდებლო აქტებში;
- მიწის მართვის პოლიტიკის არ არსებობა.

კერძოდ, საქართველოს კანონში[2. გვ.2] „ნიადაგის დაცვის შესახებ“ ნიადაცის დაცვის მიზნით განსაზღვრულია აკრძალვები, რომელიც ასევე შეეხება მაღალმთიან საძოვრებზე დადგენილ ნორმებზე გადაჭარბებული რაოდენობით ნახირისა და ფარის ძოვებას, რაც იწვევს საძოვრების ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას და ნიადაგის ეროზიული პროცესების განვითარებას. აკრძალვები მხოლოდ მაღალმთიან საძოვრებს შეეხება. აქვე ყურადსაღებია ის

გარემოება, რომ 2002 წლიდან საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა მიეღო ორი ნორმატიული დოკუმენტი:

1. „ეროზიული პროცესის თავიდან ასაცილებლად მაღალმთიან საძოვრებზე ნახირისა და ფარის ვერტიკალური ძოვების წესის დამტკიცების შესახებ“;

2. ეროზიული პროცესების თავიდან ასაცილებლად მაღალმთიან საძობრებზე ნახირისა და ფარის ძოვებისა და გადაადგილებისას მათი რიცხოვნობის ზღვრული რაოდენობის დამტკიცების შესახებ“.

სამწუხაროდ, დღემდე აღნიშნული საკითხი ღიაა და დაურეგულირებელი რჩება. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ დღემდე არ არსებობს ქვეყნის სახელმწიფო უწყებების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, რომელიც უშუალოდ ბუნებრივი სათიბ-საძოვრების კონსერვაციასა და ინტეგირებული მართვის საკითხებს დაარეგულირებს.

საქართველოში ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია დაცულ ტერიტორიებზე, რომელზეც დაცული ტერიტორიების სააგენტოს იურისდიქცია ვრცელდება და მათი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“. აღნიშნული კანონით განსაზღვრულია დაცული ტერიტორიების კატეგორიები (ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა, აღკვეთილი) სადაც დაშვებულია ბუნებრივი სათიბ-საძოვრებით სარგებლობა, კერძოდ ლიმიტირებული თიბვა, პირუტყვის ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა საქმიანობა. დაცულ ტერიტორიებზე სათიბ-საძოვერების მდგრადი სარგებლობის მიზნით აუცილებელია თითეული დაცული ტერიტორიისთვის შესაბამისი მენეჯმენტის გეგმის დამუშავება, ამასთან ერთად თითეული დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმაში კონკრეტული კარი ან განყოფილება უნდა ეხებოდეს სათიბ-საძოვრების მდგრადი მართვის საკითხებს ან თითეული დაცული ტერიტორიისათვის ცალკე უნდა დამუშავდეს სათიბ-საძოვრების მდგრადი მართვის გეგმა. მენეჯმენტის გეგმის ფარგლებში ასევე უნდა დაიხვეწოს ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში და აღკვეთის ცალკეულ უბნებზე სათიბ- საძოვრების ფართობების ფერმერებზე იჯარით გაცემის პროცედურა და წესი [8].

ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და ინტეგრირებული მართვის მიზნით მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი პირუტყვის ინტენსიური ძოვება, რომელიც მიიღწევა პირუტყვის ნაკვეთმორიგეობითი ძოვების სისტემის დანერგვით და ძოვების ოპტიმალური ვადების (დროის) და ძოვების ოპტიმალური ხანგრძლივობის განსაზღვრით, რომლის საფუძველზეც თითეული მუნიციპალიტეტის სასოფლო თემებისათვის უნდა შედგეს პირუტყვის ძოვების კალენდარი [3].

სათიბ-საძოვრების ინტეგრირებული მართვა მოითხოვს საძოვრების მონიტორინგის გამართული სისტემის დანერგვას, რომელიც მოკლე და გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს სწორი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას. სათიბ-საძოვრების მონიტორინგის საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს არის თუ არა საძოვრების მართვის მიზნები რეალური და რა ცვლილებები უნდა შევიდეს საძოვრების მართვაში, პასუხობს თუ არა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნებს ძოვების სტრატეგია და ა.შ. [4].

ბუნებრივი სათიბების ეფექტიანი მართვის და გამოყენების ძირითადი პირობაა ბალახნარის გათიბვის დაწყების ვადების და ბალახის თიბვის ოპტიმალური პარამეტრების დაცვა. ამ მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნეს მცენარის ვეგეტაციის ფაზები, რათა მწვანე მასის მოცულობასთან ერთად უზრუნველყოფილი იქნეს საკვები ერთეულების მაღალი გამოსავალი (ყუათიანობა). ბუნებრივი სათიბების ეფექტური მართვის მიზნით აუცილებელია სათიბბრუნვების სისტემის დანერგვა, რომელიც ეფუძნება ბალახნარის სხვადასხვა ფაზაში გათიბვის მორიგეობას წლების მიხედვით, ხოლო დეგრადირებულ სათიბებზე ბალახნარის

ადგენისათვის გათიბვის ერთი წლის გამოტოვება (დასვენება) [5]. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სასურველია ოთხ წელიწადში ერთხელ სათიბი ნაკვეთის გაძოვება, რომლის შედეგადაც უმჯობესდება ბალახნარის ბოტანიკური შემადგენლობა და იზრდება თივის გამოსავლიანობა [7] .

ნაშრომში გაანალიზებული პრობლემები და მათი დაძლევის ღონისძიებების გატარება უზრუნველყოფს სამომავლოდ საქართველოში ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვას, რომელიც საშუალებას მოგვცემს რაციონალურად გამოვიყენოთ მეცხოველეობის დარგის განვითარებისთვის ბუნებისგან მოცემული ეს უნიკალური რესურსი.

ლიტერატურა

1. http://www.gaas.dsl.ge/pdf/recomendations_2016/რეკომენდაცია-სარჯველაძე 2016. Pdf.
2. საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“, 1994 წ.(https://blt.ly.)
3. საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32968?publication=19.
4. საქართველოს კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“, 2019 წ (https://bit.ly).
5. 2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედების გეგმა თბ. 2014 .
6. ბუნებრივი საკვები სავარგულების განოყიერება. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი, თბ. 2018 წ.
7. საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანება 18.12.2012 №262 „ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ინდიკატორების, მათი აღწერის მეთოდოლოგიებისა და წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ (https://bit.ly).
8. საძოვრების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიმოხილვა. www. Sazovrebi-kanonmdeblobis –mimoxilva-GEO.pdf

ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ინტეგრირებული მართვის პრობლემები საქართველოში

ვაჟა ზეიკიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ი.ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

რუსუდან ფირცხალავა

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ი.ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მართვის სრულყოფის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. ქვეყანაში ტრადიციულად ჩამოყალიბებულია საძოვრების მართვის ნაკლოვანი პრაქტიკა, რომლის შედეგადაც ადგილი აქვს ბუნებრივი სათიბ-საძოვრების დეგრადაციას, ნიადაგის ეროზიული პროცესების განვითარებას, რაც საბოლოოდ იწვევს საძოვრების პროდუქტიულობის დაქვეითებას. ნაშრომში ჩვენს მიერ წარმოდგენილია

წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვის შედეგად შესაძლებელი გახდება ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ინტეგრირებული მართვის სისტემაზე გადასვლა, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ქვეყნის ამ უნიკალური ეკოსისტემის რაციონალურ გამოყენებას და მისი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება-აღდგენას.

საკვანძო სიტყვები. სათიბ-საძოვრები, მართვა, როტაციული ძოვება, ბიომრავალფეროვნება.

PROBLEMS OF INTEGRATED PASTURE MANAGEMENT IN GEORGIA

Vazha Zeikidze
Doctor of Economics, I.Zhordania Center Studying Productive Forces and Natural Resources of Georgia of the GTU, Senior Researcher
Rusudan Pirtskhalava
Doctor of Economics, I.Zhordania Center Studying Productive Forces and Natural Resources of Georgia of the GTU, Senior Researcher

Abstract

The paper discusses natural pasture management Problems of perfection at the modern stage. In country Lack of pasture management practices have traditionally been established, resulting in degradation of natural pastures, the development of soil erosion processes, which eventually leads to decreasing pasture productivity. In the paper we present suggestions and recommendations and as a result of the introduction it will be possible to make natural pastures switch to an integrated management system, which in the end ensures the rational use of this unique ecosystem of the country and the conservation and restoration of its biodiversity.

Key words: mowing-pasture, Management, Rotational grazing, Biodiversity.